

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 11 ივლისის =56 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 11 ივლისის =56 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ევროკავშირსა და სტუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (№544605) შესაბამისად - TEMPUS საერთაშორისო გრანტის პროექტის ფარგლებში I ტრანშით გათვალისწინებულია დაფინანსება 11 433 ევროს ექვივალენტით ლარში, რაც შეადგენს - 27 543 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს ბიუჯეტის საერთაშორისო გრანტების გრაფა საშემოსავლო ნაწილში გაიზარდოს 27 543 ლარით, ხოლო ხარჯები გაიწეროს გრანტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

2. სტუ-სა და აიოვას (აშშ) უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი 289 714 ლარიდან თარჯიმანისა და თარგმანისათვის გათვალისწინებული იყო 68 340 ლარი. აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, როგორც აღნიშნული პროექტის ბიუჯეტში, ასევე სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში.

3. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, საწვავის შეძენის ხარჯებიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლში.

4. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, თარჯიმანისა და თარგმანის მომსახურების ხარჯებიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

5. ეკონომიკური შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში გაიზარდოს იჯარებიდან შემოსულობების გეგმიური მაჩვენებელი 213 120 ლარით და განისაზღვროს 350 693 ლარით, ნაცვლად 137 573 ლარისა. დაგეგმილი შემოსავალი შესაბამისად გადანაწილდეს ბიუჯეტის სხვა ხარჯების დღგ-ის გადასახადის მუხლში 36 548 ლარის ოდენობით და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 176 572 ლარის ოდენობით.

6. შევიდეს შემდეგი ცვლილებები საფაკულტეტო ბიუჯეტებსა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში, კერძოდ:

6.1. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, მივლინების მუხლიდან 3 850 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, ნედლეულისა და მასალების შეძენის მუხლში;

6.2. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 3 505 ლარი, ხოლო მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებიდან 2 300 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში; არაფინანსური აქტივების ელ. მოწყობილობების შეძენის პუნქტიდან 4 854 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში; მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს კომუნალური ხარჯების წყლის ხარჯების მუხლში; რეკლამის ხარჯებიდან 150 ლარი გადატანილ იქნეს დასუფთავების მოსაკრებელის პუნქტში, ხოლო 600 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმანისა და თარგმანის მომსახურების ხარჯებიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

6.3. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, არაფინანსური აქტივების „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ მუხლიდან, 1 000 ლარი გადატანილ იქნეს

„სესიების, კონფერენციების, ყრილობების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების“
ხარჯების მუხლში;

6.4. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში,
სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯებიდან 4 000 ლარი გადატანილ იქნეს
მივლინების მუხლში.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 11 ივლისის =56 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 11 ივლისის =56 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს მოიჯარესთვის (შპს „ფან-სტიკერები“ დირექტორი) ორი თვის იჯარის ქირის გადახდის გადავადების შესახებ.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაუკმაყოფილოს თხოვნა სტუ-ს მოიჯარეს შპს „ფან სტიკერები“-ს დირექტორს და მიმდინარე წლის ორი თვის (ივლისი, აგვისტო) იჯარის ქირის გადახდა გადაუვადოს ოქტომბერ-ნოემბერში.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 11 ივლისის =56 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 11 ივლისის =56 სხდომაზე პროფ. ვაჟა შუბითიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ნოოლოგიის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 25 ივნისის დადგენილება №1192.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ნოოლოგიის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 11 ივლისის =56 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 11 ივლისის =56 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის 5 სექტემბრის № 154 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2014-2015 სასწავლო წლიდან სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკის განსაზღვრის თაობაზე .

სენატმა დაადგინა: სტუ-ს რექტორს ეთხოვოს სტუ-ს 2013 წლის 5 სექტემბრის № 154 ბრძანებაში შეიტანოს ცვლილება 2014-2015 სასწავლო წლიდან სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკის თაობაზე, კერძოდ:

1. სწავლის საფასურის გადახდა წლის განმავლობაში განხორციელდეს 4 ეტაპად;
2. პირველი ეტაპი (გადასახადის მინიმუმ მეოთხედი) გადახდილ იქნეს სასწავლო წლის (სწავლების პირველი სემესტრის) დაწყებამდე;
3. მეორე ეტაპი (გადასახადის მინიმუმ მეოთხედი) გადახდილ იქნეს მიმდინარე კალენდარული წლის პირველ დეკემბრამდე;
4. მესამე ეტაპი (გადასახადის მინიმუმ მეოთხედი) გადახდილ იქნეს მომდევნო კალენდარული წლის მეორე სასწავლო სემესტრის დაწყებამდე;
5. მეოთხე ეტაპი (გადასახადის მინიმუმ მეოთხედი) გადახდილ იქნეს მომდევნო კალენდარული წლის პირველ ივნისამდე.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 11 ივლისის =56 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 11 ივლისის =56 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების მიერ მომზადებული პატრიარქისადმი მიძღვნილი ლექსების კრებულის გამოცემის შესახებ.

სენატმა დაადგინა: ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაავალოს შესაბამის სამსახურს საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების მიერ მომზადებული საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ისადმი მიძღვნილი ლექსების კრებულის გამოცემა 500 ეგზემპლარად.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე